სებასტიის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი: ჩვენ ვაპროტესტებთ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დევნას და ვგმობთ მასზე ძალადობას

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.01.2024. სებასტიის მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ (იერუსალიმის საპატრიარქო) განაცხადა, რომ შეუერთდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ასოციაციას „ეკლესია ქსენოფობიისა და რელიგიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ“, რომელიც დეკემბერში შეიქმნა ერთის მხრივ, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების რიგი იერარქისა და სამღვდელო პირისა და, მეორეს მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების – «Public Advocacy», «VSI Zmogaus teisiu apsauga», «European institute for religion and law» ერთობლიობით, რომლებსაც საკონსულტაციო სტატუსი აქვთ გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში.

როგორც იერუსალიმში რუსეთის სულიერი მისიის პრეს-სამსახური იტყობინება, ეპისკოპოსმა თეოდოსიმ მადლიერება გამოხატა ამ ასოციაციაში გაწევრიანების მიწვევისთვის, და განაცხადა: პალესტინაში მშვიდობისთვის ლოცვისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს უკრაინასაც, სადაც ადამიანის უფლებების

სერიოზულ დარღვევებს აქვს ადგილი, მათ შორის არიან უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნენი მიტროპოლიტ ონოფრეს მეთაურობით.

იერარქმა აღნიშნა, რომ უკრაინის სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებს უსაფუძვლო, მიუღებელ სისტემატიურ დევნებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების მიმართ, რის შედეგადაც ცრუ ბრალდებებით არაერთი იერარქის შევიწროება მოხდა. მთავარი საფრთხე ის არის, რომ უკრაინის ხელისუფლება გეგმავს კანონპროექტის მიღებას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შეზღუდვისა და სამომავლოდ აკრძალვის შესახებ. ყველა მიღებული ზომა, მათ შორის ტაძრებისა და საეკლესიო ქონების კონფისკაცია, თავდასხმები უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ინსტიტუტებსა და მიწებზე, ასევე, ძალადობრივი ქმედებები, რომლებიც მიმართულია უკრაინაში მართლმადიდებელ ქრისტიანებზე, არის ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევა.

იერუსალიმიდან, წმინდა მიწიდან, მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა ქრისტიანულ ეკლესიას, რელიგიურ და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებს და ყველა მაღალჩინოსანს, წინააღმდეგობა გაუწიონ კიევის ხელისუფლების თვითნებობას, რასაც შეიძლება ეწოდოს ეკლესიის დევნა. – ხაზი გაუსვა თეოდოსიმ. – არავინ უნდა იდევნებოდეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წევრობის გამო! მისი ეპისკოპოსები, სამღვდელონი და საერონი შევიწროებას განიცდიან უძველესი ეკლესიისადმი ერთგულებისთვის, რომელიც უკრაინის მიწაზე უძველესი და კანონიკურად კანონიერი ეკლესიაა“.

მან მოუწოდა ყველა ზომების მიღებას, რათა შეწყდეს სისხლისღვრა, კატასტროფები და უბედურებები, რასაც დღეს უკრაინაში მორწმუნენი განიცდიან. რადგან ***თუ ერთ ასოს ევნო რაიმე, მასთან ერთად ყველა სხვა ასოც ივნება, და თუ ერთი ასო იდიდება, მასთან ერთად ყველა სხვა ასოც ხარობს. ხოლო თქვენ ერთად ქრისტეს სხეული ხართ, ცალ-ცალკე კი - მისი ასონი*** (1 კორ. 12:26–27).

„ვუცხადებთ რა სოლიდარობასა და მხარდაჭერას უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც მართავს უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე, ყველა ეპისკოპოსი და სამღვდელონი, ჩვენ ვაპროტესტებთ მის მიმართ მიზანმიმართულ დევნას და ვგმობთ მასზე ძალადობას“, – განაცხადა მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ. – მივმართავთ ყველა უფლებადამცველ, საერთაშორისო და ჰუმანიტარულ ორგანიზაციას მოწოდებით, მიიღონ სასწრაფო ზომები ამ დევნის შესაჩერებლად: როცა 21-ე საუკუნეში ცხოვრობ, ძნელია დაიჯერო, რომ ეკლესია, რომელიც ადამიანებისთვის ყოველთვის მშვიდობის, სიყვარულის, ძმობისა და წყალობის მომტანია, შეიძლება დევნის ობიექტი გახდეს“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91202/